საჯარო ლექციათა სერია

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება რევოლუციური ცვლილებაა ქართული კანონმდებლობისთვის. ისტორიას თუ გადავხედავთ, სახალხო მონაწილეობის სხვადასხვა ფორმას აღმოვაჩენთ საქართველოს ისტორიაში. დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში, 1918-21 წლებში, ნაფიც მსაჯულთა რეფორმის გატარება მთავრობამ მნიშვნელოვნად მიიჩნია და 1919 წელს შემოიღეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელმაც პირველი საქმე უკვე 1920 წელს განიხილა.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი გააუქმეს და მისი აღდგენა მხოლოდ 2004 წელს გახდა შესაძლებელი – საკონსტიტუციო ცვლილებებისა და შემდგომში სისხლის სამართლის პროცესში შეტანილი ცვლილებების გზით 2009 წელს. ნაფიცმა მსაჯულებმა პირველი საქმე 2011 წელს განიხილეს და ეს წელი უნდა მივიჩნიოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედების წლად. მსაჯულთა სასამართლო წინ ნელი ნაბიჯებით მიიწევს და პირველი 8 წლის განმავლობაში უკვე 39 საქმე იქნა განხილული თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, გორის, რუსთავისა და თელავის სასამართლოებში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა კონსტიტუციური კვლევების ცენტრმა და სოციალური კვლევების ლაბორატორიამ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი გრანტი მოიპოვეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის კვლევისა და საინფორმაციო მხარდაჭერის მიზნით. ინტერდისციპლინური კვლევის მიზანია, გაიაზროს ნაფიც მსაჯულთა სისტემის რეფორმის მიმდინარეობა, ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნული თემატიკის აკადემიური დისკურსის ინიცირებას და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ინფორმაცია გაავრცელოს საზოგადოებაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიზანი მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის ამაღლება და საზოგადოების ჩართულობის ზრდაა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. 2007 და 2009 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ნაფიც მსაჯულთა სისტემის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია და პოზიტიური მოლოდინებიც, თუმცა ბევრისთვის კვლავაც უცნობი იყო კონკრეტული პროცედურის შესახებ.

სწორედ ამ საინფორმაციო ვაკუუმის შევსებას ისახავს მიზნად საჯარო ლექციების სერია, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქშია დაგეგმილი და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე.

ზემოაღნიშნულ საჯარო ლექციათა სერიის ფარგლებში 23 მაისს, 15 საათზე, ილიაუნის A101 აუდიტორიაში გაიმართება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის, გიორგი მელაძის საჯარო ლექცია.

ამასთან გაიმართება წიგნის „ამერიკელი ნაფიცი მსაჯული“ პრეზენტაცია, რომელიც თარგმნა და გამოსცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა.